1. სეკულარიზმი, სამოქალაქო რელიგია და პოლიტიკური რელიგია

სეკულარიზმი

პოლიტიკური მართლმადიდებლური იდეოლოგიების სხვადასხვა ფორმას სამი ცნების პრიზმაში განვიხილავთ: სეკულარიზმი, სამოქალაქო რელიგია და პოლიტიკური რელიგია. მართალია, ეს ცნებები სოციალური მეცნიერებების ფარგლებში განვითარდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური მართლმადიდებლური იდეოლოგიების მხოლოდ სოციოლოგიურ ანალიზს შემოგთავაზებთ. ანალიზი იქნება თეოლოგიურიც და ისტორიულიც, ვისაუბრებთ რელიგიური ფენომენის გაპოლიტიკურების შესახებ და პირიქითაც. ამ თვალსაზრისით, ამ წიგნში შესწავლილი პოლიტიკური მართლმადიდებლური იდეოლოგიები სეკულარულ ფენომენს განეკუთვნებიან. ისინი სხვადასხვა სამოქალაქო და პოლიტიკური რელიგიის არსებითი ნაწილი გახდნენ და მათ თეოლოგიური კრიტერიუმებით განვსჯით სოციოლოგიურ ენაზე.

პირველი კონცეფცია, რომელიც პოლიტიკური მართლმადიდებლური იდეოლოგიების თანამედროვე ფორმებს ჩარდახივით გადაფარებია, არის სეკულარიზმი.[1] სეკულარიზმი შეიძლება სასარგებლო იყოს ეკლესიისთვის, როდესაც, მაგალითად, ის რელიგიას პოლიტიკური ვალდებულებისაგან ათავისუფლებს. ეს ეკლესიას გზას უხსნის იმისთვის, რომ თავისი ჭეშმარიტი 'მე' აღმოაჩინოს. თუმცა შემდგომში ყურადღებას გავამახვილებთ სეკულარიზმის უარყოფით ზემოქმედებაზე, როდესაც ის ეკლესიას იდეოლოგიით ასნებოვნებს. პოლიტიკური მართლმადიდებლური იდეოლოგიების ფორმათა უმეტესობა სეკულარული ხდება მაშინაც კი, როცა მათ სეკულარიზმთან შერკინება სურთ. სანამ განვაგრძობდეთ იმის ანალიზს, თუ რატომ არიან პოლიტიკური მართლმადიდებლური იდეოლოგიები ძირითადად სეკულარულები, უნდა გავითვალისწინოთ ტერმინოლოგიური განსხვავება სამ ურთიერთდაკავშირებულ, თუმცა დამოუკიდებელ ტერმინს შორის: სეკულარიზმი, სეკულარული და სეკულარიზაცია. ეს ყველაფერი რელიგიისგან თავისუფალ სივრცეს ეხება, თუმცა ამ სივრცისადმი მათი მიდგომები განსხვავებულია. სეკულარიზმი იდეოლოგია და პოლიტიკური დღის წესრიგია, რომელიც რელიგიას საჯარო სივრცისგან აშორებს საბოლოოდ რელიგიის სრულად აღმოსაფხვრელად. ეს იდეოლოგია ჩვეულებრივ ავიწროებს რელიგიას. სეკულარული პოლიტიკური, სოციალური ან საეკლესიო სივრცის ხასიათს აღწერს. ის შეიძლება ნეიტრალური ან თუნდაც სასარგებლო იყოს ეკლესიისთვის. დაბოლოს, სეკულარიზაცია ობიექტური სოციალური ან პოლიტიკური პროცესია, რომელიც იწვევს რელიგიის თანდათანობით დაშორებას სხვადასხვა სოციალური სფეროსგან.

სამივე ტერმინს ერთი ლათინური ფუძე აქვს - *saeculum*, რაც ბერძნულად არის αἰών. ორივე სიტყვა თავდაპირველად ნიშნავდა „საუკუნეს" ან „ეპოქას". ადრეული ქრისტიანი მწერლები სიტყვა *saeculum*-ს იყენებდნენ ამა სოფლის აღსანიშნავად, ღმერთის მარადიული სამყაროს საპირისპიროდ, რომელსაც ისინი ხშირად უწოდებდნენ „უკუნითი უკუნისამდეს" (saecula saeculorum; οἱ αἰῶνες τῶν αἰώνων). მაგალითად, ავგუსტინე saeculum-ს იყენებდა დროით გაზომილი სამყაროს აღსანიშნავად[2], „ღვთის ქალაქის" საპირისპიროდ, რომელიც დროის მიერ შეზღუდულ ნებისმიერ ჩარჩოს სცდება.

Saeculum-სა და *saecula saeculorum*-ს შორის შეპირისპირება ფართოდ იყო

---

[1] იხ. Peter Berger, *The Sacred Canopy. Elements of a Sociological Theory of Religion* (Garden City, NY: Doubleday, 1967).

[2] R. A. Markus, *Saeculum: History and Society in the Theology of St Augustine* (Cam- bridge: Cambridge University Press, 1970), xxii.

განხილული რელიგიის თანამედროვე სოციოლოგიაში. მაგალითად, ჩარლზ ტეილორმა თავის ცნობილ წიგნში, „სეკულარული ეპოქა“, ‘იმანენტურ ჩარჩოდ’ განსაზღვრა ის, რასაც ეკლესიის მამები სეკულუმს (*saeculum*) უწოდებდნენ. ტეილორისეული ჩარჩო ყოვლისმომცველი გახდა თანამედროვეობაში. იგი მოიცავდა სახელმწიფოებს, საზოგადოებებს და ზოგიერთ ეკლესიასაც კი. ეს ჩარჩო იმანენტურია, რადგან ის ამა სოფელს მიეკუთვნება. ამ ჩარჩოში ყველაფერი, როგორც ჩანს, სეკულუმის ჩიხშია მოქცეული და ძალიან შეზღუდული წვდომა აქვს saecula saeculorum-ზე. ტეილორის აზრით, ‘იმანენტური ჩარჩოს’ უპირატესობა ტრანსცენდენტურ ღვთაებრივ სფეროზე, saecula saeculorum-ზე, თანამედროვეობის დამახასიათებელ ნიშნად იქცა:

ჩვენ შეგვიძლია ცივილიზაციის, ანუ თანამედროვეობის ზრდა ჩაკეტილი იმანენტური ჩარჩოს განლაგების სინონიმად მოვიაზროთ; ამ ფარგლებში ვითარდება ცივილიზებული ღირებულებები და ადამიანურ სიკეთეზე ცალსახა ფოკუსირება, მეცნიერული საღი აზრის უფრო სავსე და სრულყოფილ გამოყენებასთან ერთად შესაძლებელს ხდის ადამიანთა მაქსიმალურ აყვავებას.[3]

ამრიგად, იმანენტური ჩარჩო თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანია. იგი განასხვავებს თანამედროვეობას კაცობრიობის ცივილიზაციის წინამოდერნული ეტაპებისგან: ანტიკურობისა და შუა საუკუნეებისგან. პრემოდერნული ხანა თავის თავს უკავშირებდა ღვთაებრივ, *saecula saeculorum*-ს, ხოლო თანამედროვეობამ ღვთაებრივიც კი საერო იმანენტური ჩარჩოს ნაწილად აქცია. ვერც თანამედროვე ეკლესიები გაექცნენ ამ ჩარჩოს. ზოგიერთი მათგანი განზრახ და შეგნებულად იზიარებს სეკულარობას, ზოგი კი მასში გამოემწყვდევა ხოლმე სეკულარიზმთან ბრძოლისას. რაც უფრო მეტად იბრძვიან ეს ეკლესიები სეკულარიზმის წინააღმდეგ, მით უფრო ღრმად შეიძლება ჩაიძირონ სეკულარიზმის იმანენტურ ჩარჩოში. ეს ეკლესიები შეიძლება აცხადებენ, რომ ისინი ღვთის სახელით იბრძვიან ტრანსცენდენტული მიზნებისთვის, მაგრამ მათი მეთოდები ამა სოფლიურია.

იმანენტურ ჩარჩოში გამომწყვდეული, სეკულარიზმიც და ანტისეკულარიზმიც იდეოლოგიებს მიმართავენ. იდეოლოგია არის თეოლოგია, რომელიც სეკულარიზებულია. პოლიტიზებული რელიგია არსებითად იდეოლოგიურია. მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიები პოსტთეოლოგიურ ეპოქას განეკუთვნებიან, ისინი სტრუქტურულად ჰგვანან თეოლოგიას. იდეოლოგიაც და თეოლოგიაც ასახავენ იდეებს, რომლებიც ხსნიან ხილულ რეალობას და ცდილობენ მის შეცვლას უხილავი შაბლონების მიხედვით. იდეოლოგიები, თეოლოგიის მსგავსად: (1) იდეებს ხილულ სამყაროზე მაღლა აყენებენ; (2) სურთ დაუმორჩილონ ან თუნდაც შესწირონ ხილული სამყარო იდეებს; (3) გვთავაზობენ ჰოლისტურ მსოფლმხედველობას; (4) გვთავაზობენ მასების იოლად მობილიზებას; და (5) მოქმედებენ მითის სიმძლავრით.[3] ამ თვალსაზრისით, იდეოლოგიები ქმნიან „სეკულარულ რელიგიას“ თავისი „მღვდლებით“ - ინტელექტუალებით.[4] თუმცა იდეოლოგიასა და თეოლოგიას ის განასხვავებს, რომ თეოლოგიურ იდეებს ადამიანი ღვთაებრივ, *saecula saeculorum*-მდე მიჰყავს, ხოლო იდეოლოგიური იდეები მასებს *saeculum*-ის იმანენტურ ჩარჩოში გამოამწყვდევს.

იდეოლოგია სეკულარიზაციის პროცესის პროდუქტია. ის თანამედროვე ეპოქის დასაწყისში რელიგიის ალტერნატივად გამოიგონეს და მიზნად ისახავდა რელიგიურ ზემოქმედებას ხალხის გონებასა და ქცევაზე. ტერმინ

[3] იხ. Daniel Bell, *The End of an Ideology: On the Exhaustion of Political Ideas in the Fifties* (New York: Collier, 1962), 399.

[4] იხ. Bell, *End of an Ideology*, 394, 400.

„იდეოლოგიის“ დამამკვიდრებელმა, ფრანგმა ფილოსოფოსმა ანტუან დესტუტ დე ტრეისიმ (1754–1836), ის საერო ეპისტემოლოგიის საფუძვლად *les eléments d'idéologie* [„იდეოლოგიის ელემენტები“] მოიაზრა.[5] განმანათლებლობის ერთგულმა მიმდევარმა, დე ტრეისიმ იდეოლოგიის ცნება ააგო, როგორც ჭეშმარიტების აღქმის საშუალება „რელიგიური მიკერძოების“ გარეშე.[6]

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, იდეოლოგიის ცნება ხელახლა გამოჩნდა კარლ მარქსის (1818–1883) ნაშრომებში, რომელიც ახლა უკვე კრიტიკის ობიექტია მიკერძოებისა და რეალობის დამახინჯებისთვის. იდეოლოგიამ ევოლუცია განიცადა ბრალმდებლიდან ბრალდებულამდე. მარქსმა თავის ნაშრომში, Die deutsche Ideologie [„გერმანული იდეოლოგია“] (1846),[7] გერმანული იდეალისტური ფილოსოფია რეალობის არასწორად წარმოჩენის გამო გააკრიტიკა.[8] მარქსი ამტკიცებდა, რომ როდესაც რეალობის სურათი დახატულია მხოლოდ იდეების საფუძველზე, მეთოდი, რომელიც იდეალისტმა ფილოსოფოსებმა აირჩიეს, ყალბ ცნობიერებას წარმოშობს. რეალობის ნამდვილი სურათის დახატვა შესაძლებელია მხოლოდ სოციალური კლასების ეკონომიკური ინტერესების ტილოზე.

იდეალისტურ იდეოლოგიებთან ჭიდილში მარქსიზმი თანდათან თვითონ გადაიქცა იდეოლოგიად. საბჭოთა ვერსიაში ის ტოტალიტარულ იდეოკრატიად ჩამოყალიბდა. კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ხელისუფლებაში მოსული ფაშისტური მოძრაობებიც აგრეთვე გადაიქცნენ ტოტალიტარულ იდეოლოგიებად. იდეოლოგიები მეოცე საუკუნეში სოციალური ინჟინერიის გიგანტური პროექტების გეგმებად იქცა და სისხლის მდინარეებით დასრულდა, რომელთა იდეებს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ტოტალიტარული იდეოლოგიების ტრაგიკულმა შედეგებმა გამოიწვია იდეოლოგიის, როგორც ჟანრის კრიზისი. 1960 წელს დანიელ ბელმა განაცხადა, რომ იდეოლოგიებმა მთლიანად ამოწურეს თავიანთი არსებობა.[9] გარკვეული თვალსაზრისით, ის მართალი იყო, რადგან იდეოლოგიებმა დაკარგეს გავლენა ხალხის გონებაზე, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში მაინც.[10] პოსტმოდერნიზმი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, მაგრამ ძალაუფლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოიხვეჭა, კლასიკური იდეოლოგიების ერთ-ერთი მომაკვდინებელი ძალა იყო. პოსტმოდერნისტული ძალაუფლების ბირთვი, რომელმაც მოდერნიზმი დაასუსტა, იყო რელატივიზმი. თუმცა, წინსვლასთან ერთად პოსტმოდერნიზმი თანდათან იდეოლოგიად გარდაიქმნებოდა.

სეკულარიზმის განვითარებას ხელი შეუწყვეს როგორც თანამედროვე, ისე პოსტმოდერნულმა იდეოლოგიებმაც. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ეს ცნება სეკულარულის ცნებისგან განსხვავდება და მათ შორის განსხვავება სუფიქს 'იზმით' აღიბეჭდება. ეს სუფიქსი, როგორც წესი, იდეოლოგიის სიმბოლური ნიშანია. სეკულარიზმის, როგორც იდეოლოგიის ფუძემდებელთა შორის იყვნენ დევიდ ჰიუმი (1711–1776) და ოგიუსტ კონტი (1798–1857).[11] ჯორჯ იაკობ

---

[5] ასე ეწოდება დესტუტ დე ტრეისის ძირითად ნაშრომს *Eléments d'idéologie*, რომელიც ხუთ ტომად გამოიცა 1801–1815 წლებში.

[6] იხ. Bell, *End of an Ideology*, 394–95.

[7] See Harald Bluhm, *Karl Marx, Friedrich Engels, Die deutsche Ideologie* (Berlin: Akademie Verlag, 2010).

[8] იხ. Wolfgang Thumser, *Kirche im Sozialismus: Geschichte, Bedeutung und Funk- tion einer ekklesiologischen Formel* [ეკლესია სოციალიზმში: ეკლესიოლოგიური ფორმულის მნიშვნელობა და ფუნქცია] (Tübingen: J.C.B. Mohr, 1996).

[9] იხ. Bell, *End of an Ideology*.

[10] ამას აღმოსავლეთის ბლოკში იდეოლოგიების გაკოტრებამდე კიდევ რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა.

[11] იხ. David Hume, *Hume on Religion* (Cleveland, OH: World, 1964); Auguste Comte, *Système de politique positive. Ou traité de sociologie, instituant la religion de l'humanité* [პოზიტიური სახელმწიფო მმართველობის სისტემა]

ჰოლიაკემ (1817–1906), რომელიც მათ კვალს მიჰყვა, გამოიგონა სიტყვა სეკულარისტი. თავდაპირველი მნიშვნელობით ეს სიტყვა სინონიმი იყო ისეთი სიტყვებისა, როგორიცაა ურჯულო, თავისუფლად მოაზროვნე და ურწმუნო.[12] ჰოლიაკე, რომელიც საჯაროდ ეწეოდა ათეიზმის პროპაგანდასა და მის მხარდასაჭერ კამპანიას,[13] მაინც განასხვავებდა ათეიზმს სეკულარიზმისაგან. ათეისტებისგან განსხვავებით, რომლებიც უარყოფენ ღმერთის არსებობას, სეკულარიტები სულაც არ უარყოფენ ღმერთს, თუმცა რელიგიას თანამედროვე საზოგადოებისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევენ. ჰოლიაკეს თანახმად, სეკულარისტები უგულებელყოფენ უხილავთან დაკავშირებულ თეორიებს და ეყრდნობიან მხოლოდ ფაქტებს, რომელთა შემოწმებაც ემპირიულად არის შესაძლებელი.[14] ამგვარად, სეკულარიზმი შერწყმულია პოზიტივიზმთან – აზროვნების იმ სისტემასთან, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში გახდა პოპულარული. ის ეყრდნობოდა ექსპერიმენტიდან მიღებულ „დადებით“ სამეცნიერო მონაცემებს. ექსპერიმენტზე დაფუძნებულმა პოზიტივისტურმა ეპისტემოლოგიამ უარყო მეტაფიზიკური მეთოდი, როგორც მეცნიერულად დაუმოწმებელ რელიგიურ გამოცდილებაზე დაფუძნებული. სეკულარიზმმა იარაღად გამოიყენა პოზიტივისტური მეთოდი, რათა თანამედროვე ადამიანი რელიგიისადმი შეუსაბამო ან თუნდაც მტრულად განწყობილი ყოფილიყო.

სეკულარიზმი, რომელიც ფილოსოფიურად შეიმუშავეს ისეთმა მოაზროვნეებმა, როგორებიც არიან ჰიუმი და კონტი, და რომლის პროპაგანდაც განახორციელეს საზოგადოებრივმა აქტივისტებმა, როგორიცაა ჰოლიაკე, რადიკალური იყო. პროგრესის წინსვლის შედეგად ის ცდილობდა რელიგიის სრულად განდევნას საზოგადოების ცხოვრებიდან. საზოგადოების რადიკალური სეკულარიზაციის იდეა მეოცე საუკუნემდე გაგრძელდა. კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში, რომლებიც მარქსისტულ იდეოლოგიას მიჰყვებოდნენ, მან რელიგიის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიების ფორმა მიიღო. დასავლური დემოკრატიები რელიგიისადმი უფრო რბილ ბოიკოტურ მიდგომას ამჯობინებდნენ.

1968 წელს „ნიუ-იორკ ტაიმზისათვის“ გაკეთებულ კომენტარში პიტერ ბერგერმა (1929–2017) ამგვარად შეაჯამა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დასავლური სეკულარიზმის პროგრამა: „ოცდამეერთე საუკუნეში რელიგიური მორწმუნეები, სავარაუდოდ, მხოლოდ მცირე სექტებში გაერთიანდებიან მსოფლიო სეკულარული კულტურისათვის წინააღმდეგობის გასაწევად“.[15] თუმცა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისთვის ბერგერმა აღიარა, რომ ცდებოდა. ამის ნაცვლად, მან აღიარა, რომ რელიგია საკმაოდ ცოცხალი რჩება დასავლურ საზოგადოებაში და სეკულარიზმს მისთვის ზიანი არ მოუტანია.[16]

სეკულარიზმის იდეოლოგია არ თმობს პოზიციებს და ახლა იმად გარდაიქმნა, რასაც შეიძლება ნეოსეკულარიზმი ეწოდოს. მისმა ერთ-ერთმა მომხრემ, სტივ ბრიუსმა, თავის წიგნში, „სეკულარიზაცია: არამოდური თეორიის დასაცავად“,[17] შეიმუშავა აპოლოგეტიკა 1960-იანი წლების სეკულარიზმის სტილში. ის, ერთი მხრივ, ემხრობა სეკულარიზმის კლასიკურ თეორიებს, რომელთა მიხედვითაც პროგრესი რელიგიას მოძველებულს ხდის. ამავე დროს, აღიარებს სეკულარიზაციის პროცესების სირთულესაც და მისი სწორხაზოვანი გაგების წინააღმდეგ გვაფრთხილებს. ინდივიდუალიზმის, პლურალიზმის,

---

(Bruxelles: Culture et Civilisation, 1969).

[12] იხ. Nikki Keddie, “Secularism and Its Discontents”, *Daedalus* 132, no. 3 (2003), 14–15.

[13] იხ. his pamphlet George Jacob Holyoake, *Principles of Secularism. Briefly Explained* (London: Austin, 1871).

[14] იხ. Noah Feldman, *Divided by God: America’s Church-State Problem—and What We Should Do about It* (New York: Farrar, Straus & Giroux, 2005), 113–14.

[15] “A Bleak Outlook Is Seen for Religion”, *New York Times*, February 25, 1968, 3.

[16] Peter Berger, ed., *The Desecularization of the World: Resurgent Religion and World Politics* (Grand Rapids: Eerdmans, 1999), 2.

[17] Steve Bruce, *Secularization: In Defence of an Unfashionable Theory* (Oxford: Oxford University Press, 2011).

თანასწორობისა და რაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში რელიგიამ თავის გადასარჩენად „ინდივიდების ზებუნებრივთან დაკავშირების გარდა სხვა საქმე“ უნდა მოძებნოს.[18] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგია ტეილორული „იმანენტური ჩარჩოებით“ უნდა შემოიფარგლოს.

როგორც ჩანს, ზოგიერთმა ეკლესიამ შეგნებულად შეასრულა ბრიუსის რეკომენდაციები. ისინი სეკულარიზმის იდეოლოგიას საკუთარი პირობებით დაემორჩილნენ. შედეგად, ექსკლუზიურად კონცენტრირდებიან სოციალურ დღის წესრიგზე, აკეთებენ გრძელ განცხადებებს პოლიტიკურ საკითხებზე და ღმერთზე ორიენტირებულ საუბრებს მოკლედ ასრულებენ. სხვა ეკლესიები აჯანყდნენ სეკულარიზმის წინააღმდეგ; თუმცა მათი ჯანყი ყოველთვის როდი იწვევს მათი იდეოლოგიური მარწუხებიდან გათავისუფლებას. სეკულარიზმის იდეოლოგიასთან დაპირისპირებით ისინი ხანდახან სხვა სახის იდეოლოგიას, სხვა ‘იზმს’ – ანტისეკულარიზმს – ავითარებენ:

ანტისეკულარიზმის ყველაზე სრულყოფილი განსახიერება ფუნდამენტალიზმია. ტერმინი მომდინარეობს ბროშურების კრებულიდან, „საფუძვლები (ფუნდამენტები): ჭეშმარიტების დამოწმება“, რომელიც 1910-იან წლებში ევანგელისტურმა ჯგუფებმა გამოსცეს ჩიკაგოში.[19] ამ ჯგუფების თავდაპირველი პროგრამა, სადაც საუბარი იყო ბიბლიური კრიტიკისა და რაციონალიზმის წინააღმდეგ რწმენის საკითხებზე, თანდათან უფრო ფართო ანტიმოდერნისტულ დღის წესრიგში გადაიზარდა და ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა კონფესიაში შეერთებულ შტატებსა და მის ფარგლებს გარეთ. პირველმა მსოფლიო ომმა ფუნდამენტალიზმი აიძულა შედარებით მშვიდობიანიდან, სამხედრო ენაზე გადასულიყო. მისი ლექსიკა ახლა მოიცავდა „შეტაკებებს“, „ბრძოლებს“ და „ჯვაროსნულ ლაშქრობებს“ მოდერნიზმის წინააღმდეგ. თუმცა მისმა „გენერალურმა შეტაკებამ“, სკოუპის სასამართლომ (1925), მას პიროსის გამარჯვება მოუტანა, რამაც გამოუსწორებლად დააზიანა მისი რეპუტაცია დასავლურ საზოგადოებაში.

1940-იან წლებში ფუნდამენტალისტურმა ჯგუფებმა სხვადასხვა ეკლესიაში შექმნეს ტრანსდენომინაციური ალიანსები. 1960-იან წლებში ისინი მოხალისეებად მიიღეს კულტურულ ომებში. სეკულარიზმი მათი მთავარი მტერი გახდა. მასთან საბრძოლველად მათ გამოიყენეს ინტელექტუალური, სოციალური და მედიაინსტრუმენტები,[20] რომელთა უმეტესობა საერო იყო. ამან ფუნდამენტალიზმი ეფექტიან სეკულარულ ფენომენად აქცია. რ. სკოტ ეპელბიმ მართებულად შენიშნა ფუნდამენტალიზმის ეს პარადოქსი:

> აქ ვხვდებით ფუნდამენტალიზმების განმსაზღვრელ ირონიას: ტრადიციული რელიგიის ეს თვითგამოცხადებული დამცველები არცთუ ისე „ტრადიციულები“ არიან. . . . ფუნდამენტალისტები ვერ იტანენ ტრადიციონალისტ ან უბრალოდ კონსერვატორ მორწმუნეებს, რომლებიც ცდილობენ იცხოვრონ ისტორიული ტრადიციის რთულ და ზოგჯერ ორაზროვან საზღვრებში. ამის საპირისპიროდ, ფუნდამენტალისტები „პროგრესულები“ არიან იმ გაგებით, რომ ისინი რელიგიური ტრადიციის მობილიზებას კონკრეტული დროებითი მიზნისთვის ცდილობენ (მაშინაც კი, თუ საბოლოო გამარჯვება შეიძლება ისტორიის მიღმა დარჩეს). პოლიტიკაში, სამოქალაქო ომში, განმათავისუფლებელ მოძრაობებსა და სოციალურ რეფორმებში ჩართვას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ფუნდამენტალისტური მენტალიტეტისათვის: რელიგია არის ან უნდა იყოს ძალა სამყაროს შესაცვლელად, მის ღმერთის ნებასთან მისასადაგებლად და ღვთაებრივი გეგმის წინსვლისათვის. ამ მისწრაფებით, ფუნდამენტალისტები ცოტათი ან

[18] Steve Bruce, *God Is Dead: Secularization in the West* (Malden, MA: Blackwell, 2002), 30.

[19] R. A. Torrey and A. C. Dixon, *The Fundamentals: A Testimony to the Truth,* (Grand Rapids: Baker, 2008).

[20] იხ. Clark H. Pinnock, *Biblical Revelation: The Foundation of Christian Theology* (Chicago: Moody, 1971), x.

არაფრით განსხვავდებიან სხვა „პროგრესული“ რელიგიური მოძრაობებისგან სოციალური ცვლილებებისა და სამართლიანობისთვის.[21]

ამგვარად, ანტისეკულარიზმის იდეოლოგია თანამედროვეობის იმანენტურ ჩარჩოს თავს ვერ დააღწევს. ეს ჩარჩო სეკულარიზმისა და ანტისეკულარიზმის იდეოლოგიებს ერთმანეთის მსგავსს ხდის. ამ ჩარჩოში ორივე იდეოლოგია ხელს უწყობს სოციალურ ფენომენებს, რომლებსაც შემდგომში განვიხილავთ, როგორც სოციალურ და პოლიტიკურ რელიგიებს.

2. სამოქალაქო რელიგია

ტერმინი „სამოქალაქო რელიგია“ ჟან-ჟაკ რუსომ (1712–1778) შექმნა თანამედროვე ეპოქის გარიჟრაჟზე. რუსომ „სამოქალაქო რელიგიის“ კონცეფცია სოციალური კონტრაქტის თეორიის ქვაკუთხედად აქცია. მან ის ცალკეულ პირთა რესპუბლიკური სახელმწიფოს საზღვრებში შესანარჩუნებელ წებოდ მოიაზრა.[22] სამოქალაქო რელიგია, მისთვის, სოციალური კონტრაქტის საპირწონე იყო და ბლოკავდა გარდაუვალ ცენტრიდანულ სოციალურ ძალებს, რომლებსაც კონტრაქტი ათავისუფლებდა. სამოქალაქო რელიგია რუსოს გაგებით განსხვავდებოდა ნებისმიერი ტრადიციული რელიგიისგან და ძირითადი ეთიკური ნორმებისგან შედგებოდა. თავიანთი ტრადიციული რელიგიისგან განსხვავებით, რომელიც მოქალაქეებს შეუძლიათ ფარული დატოვონ, ის საჯარო უნდა ყოფილიყო.[23] რუსო სამოქალაქო რელიგიას არსებითად მორალისტურად მიიჩნევდა; მან მეტაფიზიკა ეთიკამდე დაიყვანა.

ტერმინმა „სამოქალაქო რელიგიამ“ ფრანგული განმანათლებლობის ლექსიკონიდან თანამედროვე მეცნიერების ლექსიკაში რელიგიის ამერიკელი სოციოლოგის რობერტ ნ. ბელახის (1927–2013) ნაშრომებით გადაინაცვლა. ბელახმა შეერთებულ შტატებში პოლიტიკურ კულტურას „ამერიკის სამოქალაქო რელიგია“ უწოდა. მისთვის ის შედგებოდა „რწმენებისაგან, სიმბოლოებისა და კოლექტივში ინსტიტუციონალიზებული რიტუალებისგან წმინდა საგნების მიმართ. ეს რელიგია – როგორც ჩანს, სხვა სიტყვა არ არსებობს – თუმცა... ბევრი საერთო აქვს ქრისტიანობასთან, ... ეროვნული რელიგიური თვითშეგნების გამტარია“.[24] ბელახმა სამოქალაქო რელიგია მოიხსენია, როგორც „მითი“, რომელიც საფუძვლად უდევს ახალი ერის თვითშემეცნებას.[25] ეს რელიგია ტრადიციული რელიგიების პარალელურად არსებობს და აქვს „საკუთარი სერიოზულობა და მდგრადობა“.[26] „ამერიკული სამოქალაქო რელიგიის“ კონცეფცია იმდენად პოპულარული გახდა, რომ ბელახმა რამდენიმე წიგნი გამოსცა ამ თემაზე.[27] ამან ასევე გამოიწვია მწვავე დებატები, რამაც საბოლოოდ აიძულა ბელახი, რომ უარი ეთქვა ამ ტერმინზე.[28]

ბელახის მოწაფემ, ფილიპ გორსკიმ, მოახდინა რეაბილიტაცია და შეასწორა

---

[21] R. Scott Appleby, “Fundamentalisms”, in *A Companion to Contemporary Political Philosophy*, ed. Robert E. Goodin, Philip Pettit, and Thomas W. Pogge (Malden, MA: Wiley Blackwell, 2007), 1:407.

[22] იხ. Jean-Jacques Rousseau, *The Essential Rousseau: The Social Contract, Dis- course on the Origin of Inequality, Discourse on the Arts and Sciences, The Creed of a Savoyard Priest*, trans. Lowell Bair (New York: Penguin, 1975), 17, 20, 107–8, 110.

[23] See Rousseau, *Essential Rousseau*, 110–12.

[24] Robert N. Bellah, “Civil Religion in America”, *Daedalus* 96, no. 1 (1967), 8.

[25] Robert N. Bellah, *The Broken Covenant: American Civil Religion in Time of Trial* (Chicago: University of Chicago Press, 1992), 3.

[26] Bellah, “Civil Religion in America”, 1.

[27] Robert N. Bellah, *Beyond Belief: Essays on Religion in a Post-Traditional World* (New York: Harper & Row, 1970); Robert N. Bellah and Phillip Hammond, *Varieties of Civil Religion* (San Francisco: Harper & Row, 1980); Bellah, *Broken Covenant*.

[28] იხ. Robert N. Bellah, “Comment: Twenty Years after Bellah: Whatever Hap- pened to American Civil Religion?”, *Sociological Analysis* 50, no. 2 (1989), 147.

სამოქალაქო რელიგიის კონცეფცია, როგორც პაქს ამერიკანას (მშვიდობა ამერიკულად) ძირითადი ბირთვი. ამერიკული სამოქალაქო რელიგია, გორსკის აზრით, ჯანსაღი შუამავალი მედიუმია ნაციონალიზმისა და სეკულარიზმის უკიდურესობებს შორის:

> მარჯვენა მხარეს ვხედავთ რელიგიურ ნაციონალიზმს, ზეთის საღებავებით სქლად დაფერილ წითლად შეღებილ ტილოს, რომელიც სავსეა ომისა და აპოკალიფსის სისხლითა და ცეცხლით და ბრძოლის სცენებით, რომლებშიც კეთილი და ბოროტი ძალები ხმელეთზე ზღვასა და ჰაერშიც იშლება. ეს ფანტასტიკური სცენაა, სავსე ზებუნებრივი არსებებით და იმ ამაო იმედით, რომ თითქოს სამართლიანობისა და მშვიდობის მიღწევა ძალადობითა და სისხლისღვრითაა შესაძლებელი. მარცხენა მხარეს კიდია რადიკალური სეკულარიზმი, ლურჯი ტონალობის აკვარელი მხიარული პასტელებით, რომელიც ერთმანეთისაგან გათიშული ინდივიდების კრებულს ასახავს, რომლებიც საკუთარ პირად ინტერესებსა და სიამოვნებებს განსაკუთრებული ურთიერთპატივისცემის გარეშე მიჰყვებიან. ეს უტოპიური სურათია, რომელიც ადამიანის სიავესა და დაუცველობას ასახავს. დაბოლოს, შუაში გვაქვს სამოქალაქო რელიგია, მრავალფეროვანი ხალხის პანორამული პორტრეტი, რომლებიც დროთა განმავლობაში ღია და მუქი პეიზაჟების გასწვრივ ერთად მიაბიჯებენ აღთქმული მიწისაკენ. ის იმედისმომცემია ფანტასტიკის გარეშე და პროგრესულია გულუბრყვილო ოპტიმიზმის გარეშე.[29]

იაროსლავ პელიკანის (1923–2006) შეხედულება ამერიკის სამოქალაქო რელიგიაზე განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი ანალიზისათვის. ბიბლიისა და კონსტიტუციის ინტერპრეტირებაში ის ამერიკულ პოლიტიკურ კულტურას ტიპოლოგიური თვალსაზრისით ქრისტიანულ ტრადიციას ამსგავსებს. პელიკანი ქრისტიანული დოქტრინის ევოლუციის თავისებურ ანალიზს ამერიკულ რელიგიურ „ტრადიციას“ უსადაგებს.[30]

პელიკანის აზრით, ამერიკის კონსტიტუცია სამოქალაქო რელიგიის თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს, როგორც „ამერიკული წმინდა წერილი“. ის ამტკიცებს, რომ სხვა ფუნდამენტურ ტექსტებს, როგორიცაა დამოუკიდებლობის დეკლარაცია ან გეტისბურგის მიმართვა, არ აქვთ ისეთივე „მამხილებელი“ ძალა.[31] პელიკანი ასევე განსაზღვრავს „ინტერპრეტაციულ თემებს“, რომლებმაც „წმინდა წერილი“ „ტრადიციად“ გარდაქმნეს. მის თვალში ყველაზე მნიშვნელოვან ინტერპრეტაციულ საზოგადოებას მოსამართლეები წარმოადგენენ „თავიანთი სამოსით“, რომლებიც ამ რელიგიის „იერარქები“ არიან.[32]

პელიკანის აზრის შესაბამისად, მაიკლ ანგროსინო ჯორჯ ვაშინგტონს ახასიათებს „ამერიკული ღირსების კვაზი-ღვთაებრივ განსახიერებად“.[33] ის ახალი რელიგიის „საერო წმინდანიცაა“ და მისი პატრიარქიც.[34] აბრაამ ლინკოლნი, რომელმაც სისხლი დაღვარა „თავისი ხალხისთვის, განწმინდა მიწა, რომელიც ახლახან ძმათამკვლელი ბრძოლების სისხლით იყო გაჯერებული“[35], კიდევ უფრო რელიგიურ როლს ასრულებს. ამერიკული სამოქალაქო რელიგია ასევე ავლენს ამერიკელი ერის თავდაპირველ ცოდვას - მონობას, როგორც ბარაკ ობამამ განაცხადა 2008 წელს თავის სიტყვაში რასიზმის შესახებ.[36]

---

[29] Philip Gorski, *American Covenant: A History of Civil Religion from the Puritans to the Present* (Princeton: Princeton University Press, 2017), 34–35.

[30] იხ. Jaroslav Pelikan, *Interpreting the Bible and the Constitution* (New Haven: Yale University Press, 2004), 115.

[31] Pelikan, *Interpreting the Bible*, 18–21.

[32] Pelikan, *Interpreting the Bible*, 22.

[33] Michael Angrosino, “Civil Religion Redux”, *Anthropological Quarterly* 75, no. 2 (2002), 251.

[34] Angrosino, “Civil Religion Redux”, 250.

[35] Angrosino, “Civil Religion Redux”, 251.

[36] “Barack Obama’s Speech on Race”, *New York Times*, March 18, 2008, https://tinyurl.com/2vwwyd.

3. პოლიტიკური რელიგია

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი სამოქალაქო რელიგია ევროპის კონტინენტზე გამოიგონეს, ის ძირითადად ამერიკულ კონტექსტში გამოიყენებოდა. კიდევ ერთი ევროპული კონცეფცია, პოლიტიკური რელიგია, უმთავრესად კონტინენტურ ფენომენებს აღნიშნავდა. კონცეფციის სახით, ის მეოცე საუკუნის ევროპაში დაინერგა პოლიტიკური მოვლენების განსასაზღვრავად. ემილიო ჯენტილემ, ევროპული პოლიტიკური რელიგიების შემსწავლელმა იტალიელმა სტუდენტმა, ისინი განსაზღვრა როგორც:

> რელიგიის ტიპი, რომელიც იდეოლოგიას, მოძრაობას ან პოლიტიკურ რეჟიმს საკრალურობას ანიჭებს მითად გარდაქმნილი სეკულარული ერთეულის გაღმერთების გზით, და მიიჩნევს მას დედამიწაზე ადამიანის არსებობის მნიშვნელობისა და საბოლოო მიზნის უპირველეს და უდავო წყაროდ.[37]

კონტინენტური პოლიტიკური რელიგიები ფაქტობრივად საერო იდეოლოგიების მოდიფიკაცია იყო.[38] იდეოლოგიები რელიგიის უარყოფით გაჩნდა. მათმა რელიგიასთან შერიგებამ წარმოშვა პოლიტიკური რელიგიები. პოლიტიკური კვაზირელიგიები შედგება კვაზითეოლოგიური ენისა და კვაზი ლიტურგიკული კულტებისაგან; ისინი ხალხს არწმუნებენ, დაიცვან პოლიტიკური დებულებები, თითქოს ისინი თეოლოგიური დოქტრინები იყვნენ.

ტერმინის სახით პოლიტიკური რელიგია მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა. ჰეგელიანური სკოლის ფილოსოფოსმა, მოშე ჰესმა (1812–1875), სოციალური ცვლილებებისადმი რელიგიური გულმოდგინების განსასაზღვრად გამოიყენა ტერმინი politische Religion [„პოლიტიკური რელიგია“].[39] ჰესმა ეს რელიგია აღწერა, როგორც არაინსტიტუციური. მას სურდა, რომ ამ რელიგიას ტრადიციული რელიგიები ჩაენაცვლებინა. მისი სურვილი მეოცე საუკუნეში ასრულდა, თუმცა, მას თავისივე სურვილების შედეგი, სავარაუდოდ, არ მოეწონებოდა.

ბოლშევიზმი, ფაშიზმი და ნაციზმი 1930-იანი წლების დასაწყისში „პოლიტიკურ რელიგიებად“ მოიაზრეს. 1932 წელს ავსტრიელმა მწერალმა ფრანც ვერფელმა (1890–1945) თავისი დროის ეს სამი ძირითადი იდეოლოგია კვაზირელიგიებად განსაზღვრა. გერმანელმა პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა ერიკ ვოგელინმა (1901–1985), რომელიც მოგვიანებით ემიგრაციაში გაემგზავრა შეერთებულ შტატებში, თავის 1938 წელს გამოცემულ წიგნს სათაურად ჰესის ეს ფრაზა დაარქვა: Die politischen Religionen [„პოლიტიკური რელიგიები“].[40]

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო რელიგიის კონცეფცია ფრანგული რესპუბლიკანიზმიდან იღებს სათავეს, პოლიტიკური რელიგიის კონცეფცია გერმანულ იდეალიზმში გვხვდება. მის ერთ-ერთ დამფუძნებლად გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770–1831) მიიჩნევა თავისი სახელმწიფოს კონცეფციის გამო.[41] სახელმწიფო, ჰეგელისთვის „ღვთაებრივი“ ინსტიტუტია, რომელსაც „დიდებულება და აბსოლუტური ავტორიტეტი“ აქვს. ეს არის

---

[37] Emilio Gentile, “Fascism, Totalitarianism and Political Religion: Definitions and Critical Reflections on Criticism of an Interpretation”, in *Fascism, Total- itarianism and Political Religion*, ed. Roger Griffin (London: Routledge, 2005), 34.

[38] ob. Jürgen Moltmann, “Covenant or Leviathan? Political Theology for Mod- ern Times”, *Scottish Journal of Theology* 47, no. 1 (1994), 36.

[39] Moses Hess, *Die heilige Geschichte der Menschheit* [The Sacred History of Humanity] (Stuttgart: Hallberger, 1837), 334.

See A. James Gregor, *Totalitarianism and Political Religion: An Intellectual His- tory* (Stanford: Stanford University Press, 2012), 16.

[40] Eric Voegelin, *Die politischen Religionen* (Stockholm: Bermann-Fischer Ver- lag, 1939).

[41] ob. A. James Gregor, *Totalitarianism and Political Religion: An Intellectual His- tory* (Stanford: Stanford University Press, 2012), 16.

„ღვთაებრივი ნების განსახიერება იმ გაგებით, რომ ის დედამიწაზე მყოფი გონებაა, რომელიც სამყაროს რეალურ ფორმად და ორგანიზაციად ვლინდება“.[42] „პოლიტიკური რელიგიის“ ჰეგელისეული გაგება ა. ჯეიმს გრეგორის სიტყვებით შეიძლება შევაჯამოთ: „ჰეგელმა სახელმწიფოს საკრალიზებით მოახდინა, ისტორია მის საშუალებად და ადამიანები კი მის ინსტრუმენტებად აქცია“.[43] ეს განსაზღვრება მეოცე საუკუნის კონტინენტური პოლიტიკური რელიგიების მთავარ ხაზად შეიძლება ჩაითვალოს.

ლუდვიგ ფოიერბახმა (1804–1872) ჰეგელის თეოლოგია ანთროპოლოგიამდე დაიყვანა და ამით ის „იმანენტურ ჩარჩოში“ მოაქცია. მისმა ფილოსოფიამ ადამიანი ფილოსოფიის უნიკალურ, უნივერსალურ და უმაღლეს ობიექტად აქცია.[44] გერმანული პოლიტიკური რელიგიის ევოლუციაში შემდგომი ნაბიჯები გადადგეს ფრიდრიხ ენგელსმა (1820–1895) და კარლ მარქსმა (1818–1883). ენგელსმა, რომელიც ღვთისმოსავ ქრისტიანად იყო აღზრდილი, თავისი რელიგიური სენტიმენტები სოციალურ ცვლილებებზე მაღლა დააყენა. მან ამ ცვლილებას „ჭეშმარიტი რელიგია“ უწოდა და ის რელიგიის სხვა ტრადიციული ფორმებისგან განასხვავა.[45] მარქსმა სოციალური ცვლილებების რელიგია ეკონომიკამდე დაიყვანა, რომელიც მარქსიზმიდან მომდინარე ზოგიერთ თანამედროვე დოქტრინაში მოულოდნელ კვანძგამხსნელად რჩება. ისტორიული მატერიალიზმი მარქსისტული „რელიგიის“ სარწმუნოება გახდა, რომელიც, გრეგორის აზრით, შეიძლება „პოლიტიკური რელიგიის“ პირველ სრულ ვერსიად ჩაითვალოს.[46] მარქსიზმის რელიგიური ბუნება დეტალურად შეისწავლა ნიკოლაი ბერდიაევმა (1874–1948). თავის ნარკვევში, „სოციალიზმი, როგორც რელიგია“ (1906), ის სოციალიზმის ორ ტიპს გამოყოფს: ერთი, რომელიც ზრუნავს ადამიანების ყოველდღიურ მოთხოვნილებებზე, და მეორე, რომელიც ფუნქციონირებს რელიგიის შესაძლებლობებით. ბერდიაევი მიიჩნევდა, რომ მარქსისტული რელიგია სატანურია, რადგან ის განდევნის ღმერთს და საფრთხეს უქმნის ადამიანის პიროვნებას.[47]

საბჭოთა რეჟიმმა ბერდიაევის წინასწარმეტყველება აღასრულა. საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვლადიმერ ლენინი (1870–1924) გახდა საბჭოთა ძალადობრივი პოლიტიკური რელიგიის „მთავარი ღვთისმეტყველი“ და „დეკანოზი“. თავდაპირველი ჰეგელიანური რწმენა ჭეშმარიტების შესახებ, რომელიც ისტორიის განმავლობაში გამოვლინდა, ლენინის იმპერატივში გარდაისახა, რათა „კედელთან მიეყენებინათ და დაეხვრიტათ“[48] ყველა, ვინც არ ეთანხმებოდა ისტორიის მისებურ ინტერპრეტაციას. ლენინიზმი და მოგვიანებით სტალინიზმი მარქსისტული პოლიტიკური რელიგიის განსაკუთრებით ძალადობრივი დენომინაციები გახდნენ.

ფაშიზმი კომუნიზმის საპირისპიროდ განვითარდა. კომუნიზმისგან განსხვავებით, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ისტორიის უნივერსალისტური შეხედულება, ფაშიზმი მხარს უჭერდა ეროვნულ სახელმწიფოსთან ასოცირებულ ისტორიულ პარტიკულარიზმს.

---

[42] Georg Wilhelm Friedrich Hegel, *Hegel's Philosophy of Right*, ed. Sir Thomas Malcolm Knox (Oxford: Oxford University Press, 2015), §§258, 270.

[43] Gregor, *Totalitarianism and Political Religion*, 24.

[44] Ludwig Feuerbach, *Principles of the Philosophy of the Future* (Indianapolis: Hackett, 1992), §54.

[45] Friedrich Engels, "Schelling and Revolution: Critique of the Latest Attempt of Reaction against the Free Philosophy", in Karl Marx and Friedrich Engels, *Collected Works* (New York: International, 1976), 2:239.

[46] Gregor, *Totalitarianism and Political Religion*, 86.

[47] Nikolai Berdyaev, "Sotsializm kak religiya" [სოციალიზმი, როგორც რელიგია], *Voprosy filosofii i psikhologii* [ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საკითხები] 85, no. 5 (1906), 511–12.

[48] V.I. Lenin, *Polnoye sobraniye sochineniy* [Complete Collection of Works] (Moscow: Izdatel'stvo politicheskoy literatury [პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა], 1970), 45:90.

დამკვიდრებული რელიგიისადმი ფაშისტური დამოკიდებულება ასევე განსხვავდებოდა კომუნისტური პერსპექტივისგან. კომუნიზმი რელიგიას „ხალხის ოპიუმად“[49] მიიჩნევდა, ფაშიზმი კი ვითომდა მის დაცვას ცდილობდა. მიუხედავად ამისა, რელიგიის ფაშისტური აღქმა იდიოსინკრატული იყო. რელიგია სასარგებლო იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის სახელმწიფოს „ღვთაებრიობას“ ემსახურებოდა.[50] თუმცა, იმის გამო, რომ არც ერთი დამკვიდრებული რელიგია არ აღიარებდა სახელმწიფოს ღვთაებრიობას, ფაშიზმი განწირული იყო ეკლესიასთან შეჯახებისთვის და იმისთვის, რომ მას რელიგიის შემცვლელი წარმოეშვა. შემთხვევითი არ არის, რომ ბენიტო მუსოლინი (1883–1945) თავის ფაშისტურ მოძრაობას ერთგვარ „ეკლესიად“ განმარტავდა.[51]

ნაციზმი ფაშიზმს წააგავდა; ორივე ნაციონალისტურ იდეოლოგიას ეფუძნებოდა. თუმცა მათ შორის იყო განსხვავებაც. იტალიური ფაშიზმისგან განსხვავებით, გერმანულმა ნაციზმმა საკუთარი ერის იდეა სხვა ადამიანებისთვის, პირველ რიგში ებრაელებისთვის, ერის იდეის დეკონსტრუქციაზე ააგო. ნაციზმი ეყრდნობოდა რასის კონცეფციას, რომელიც ერის კონცეფციის სახეცვლილებაა.

ნაციზმის, ისევე როგორც კომუნიზმის ფესვები, სათავეს იღებს გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიაში. ჰიტლერი, მაგალითად, ეყრდნობოდა ჰეგელის მიერ ძლიერ სახელმწიფოს აღიარებას და ფიხტეს რწმენას გერმანული ექსკლუზიურობისადმი.[52] მან აღიარა, რომ არტურ შოპენჰაუერის ბევრი ნაშრომი წაიკითხა დიდი ომის სანგრებში: „შოპენჰაუერის ნაშრომებს სულ თან ვატარებდი მთელი პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში. მისგან ბევრი რამ ვისწავლე“.[53] შოპენჰაუერის იდეამ იმის შესახებ, რომ ერის ხსნა შეიძლება სიცოცხლის ნების უარყოფით მიიღწეს, ნაცისტებისთვის განსაკუთრებულად ფუნდამენტური მნიშვნელობა შეიძინა.

საერთო ფილოსოფიური ფესვების გარდა, კომუნიზმი და ნაციზმი ორივე ტოტალიტარული იყო და ორივე აგებული იყო კონკრეტული სოციალური ჯგუფების სიძულვილზე: ბურჟუაზია კომუნიზმის შემთხვევაში და ებრაელები ნაციზმის შემთხვევაში. სოციალური ჯგუფებისადმი სიძულვილის გამო მასების მობილიზებაში, კომუნისტური იდეოლოგია ლიდერობდა და ნაციზმი მას უკან მიჰყვებოდა. სტალინის რუსეთი მრავალი თვალსაზრისით ჰიტლერის გერმანიის პროტოტიპი იყო. როგორც ერნსტ ნოლტემ შენიშნა, „გულაგის არქიპელაგი უფრო ორიგინალურია, ვიდრე ოსვენციმი“.[54]

ნაცისტური იდეოლოგია ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ გერმანიაში გაქცეული რუსების მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის წყალობით განვითარდა.[55] რუსულმა „თეთრმა“ ემიგრაციამ (საბჭოთა "წითლების"

---

[49] Karl Marx and Friedrich Engels, *On Religion* (Mineola, NY: Dover, 2008), 42.

[50] იხ. Gentile, “Fascism, Totalitarianism and Political Religion”, 55.

[51] See Simonetta Falasca-Zamponi, *Fascist Spectacle: The Aesthetics of Power in Mussolini’s Italy* (Berkeley: University of California Press, 2008), 43.

[52] Yvonne Sherratt, *Hitler’s Philosophers* (New Haven: Yale University Press, 2014), 22.

[53] Adolf Hitler, *Hitler’s Table Talk, Hitler’s Conversations Recorded by Martin Bormann*, introduced by Hugh Trevor-Roper (Oxford: Oxford University Press, 1988), 20.

ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც კავშირი დაამყარა რუსულ მონარქიზმსა და გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმს შორის, იყო ვოლტერ ლაკერი: Walter Laqueur, *Russia and Germany: A Century of Conflict* (London: Weidenfeld & Nicolson, 1965). აგრეთვე იხ. მაიკლ კელოგის ფუნდამენტური ნაშრომი - Michael Kellogg, *The Russian Roots of Nazism: White Émigrés and the Making of National Socialism, 1917–1945* (Cambridge: Cambridge University Press, 2008). აგრეთვე რუსი მეცნიერები, რომლებიც ამ თეზისს უჭერენ მხარს, როგორიცაა დევიდ რასკინი და რაფაელ განელინი, იხ. David Raskin and Rafaïl Ganelin (Rafaïl Ganelin, “Ot chernosotenstva k fashizmu” [„შავი ასეულის“ მოძრაობიდან ფაშიზმამდე], in *Pamyati Nikolaya Girenko* [ნიკოლაი გირენკოს ხსოვნისადმი] (St. Peters- burg: МАЭ РАН, 2005), 243–72.

[54] Ernst Nolte, *Der eurupäische Bürgerkrieg 1917–1945: Nationalsozialismus und Bolschewismus* [ევროპული სამოქალაქო ომი 1917–1945წწ.: ეროვნული სოციალიზმი და ბოლშევიზმი] (Frankfurt: Propyläen, 1989), 15.

[55] ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც კავშირი დაამყარა რუსულ მონარქიზმსა და გერმანულ

საპირისპიროდ) გერმანიაში შეიტანა იდეოლოგია, რომელიც ასახავდა მონარქიზმს, იმპერიალიზმს და ანტისემიტიზმს. ეს იდეოლოგია ღრმად ანტიკომუნისტური იყო, რასაც ის ნაციზმთან თანხმობაში მოჰყავდა: ნაცისტებსაც და რუს „თეთრ“ ემიგრანტებსაც სძულდათ საბჭოთა რეჟიმი. ეს თანმიმდევრულობა შეინიშნება გერმანიაში მყოფი რუსი ემიგრანტების, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მოაზროვნის, ივან ილინის (1883–1954 წწ) ნაშრომებში.[56]

ნაციზმის ჩამოყალიბებაზე რუსული გავლენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არხი იყო ანალიტიკური ცენტრი „აუფბაუ“ („რეკონსტრუქცია“, სრული სახელწოდება Aufbau: Wirtschafts-politische Vereinigung für den Osten [„რეკონსტრუქცია: ეკონომიკურ-პოლიტიკური ორგანიზაცია აღმოსავლეთისთვის“]), რომელიც მიუნხენში „თეთრმა“ ემიგრანტებმა დააარსეს. ისინი „შავი ასეულის“ მოდელს მიჰყვებოდნენ.[57] ჰიტლერი ამ ჯგუფს 1920 წელს დაუკავშირდა,[58] და ამის შემდეგ ამ ჯგუფმა არაერთი წვლილი შეიტანა მის საქმეში. „აუფბაუს“ ერთ-ერთი წევრი, ალფრედ როზენბერგი (1893-1946) ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მუშათა პარტიის (NSDAP) მთავარი იდეოლოგი გახდა. ლუდის პუტჩის დროს მოკლული მაქს ფონ შუბნერ-რიხტერი (1884–1923), ნაცისტებისთვის მოწამეობის მოდელად იქცა. პიოტრ შაბელსკი-ბორკმა (1893–1952) გერმანიაში ჩამოიტანა სიონის უხუცესთა ოქმები - ნაცისტური ანტისემიტური პროპაგანდის მთავარი ტექსტი.[59] რუსული იმპერიული ანტისემიტიზმი ნაცისტური ანტისემიტიზმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ იქცა.

„თეთრი“ რუსული ანტისემიტიზმი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ებრაელები ქრისტიანების მტრები არიან. ამ მტრობის გამო ებრაელებს სურთ გაანადგურონ ქრისტიანული სახელმწიფოები, მათ შორის ყველაზე გამორჩეული - მართლმადიდებლური რუსეთის იმპერია - და დაამყარონ თავიანთი მმართველობა. ეს არის წმინდა წერილში აღწერილი აპოკალიფსური ანტიქრისტეს წესი. ებრაელებმა მოახერხეს და თავიანთ მიზნებს მიაღწიეს საბჭოთა რუსეთში. ბოლშევიკური რევოლუცია 1917 წლის ოქტომბერში იყო ებრაული შეთქმულების დიდი წარმატება ქრისტიანული ცივილიზაციის წინააღმდეგ. ახლა, მათი მატერიალისტური იდეოლოგიით (მარქსიზმი), ებრაელები საფრთხეს უქმნიან ქრისტიანული ცივილიზაციის მთლიანობას, რომელიც ყოველთვის პრიორიტეტს ანიჭებდა სულიერების პრინციპებს. მთავარი სამიზნეა გერმანია, როგორც ქვეყანა, რომლის ისტორიული მისიაა დერ გეისტის [„სულის“] პოპულარიზაცია. ამ მიზეზით, გერმანია და რუსეთი ერთად უნდა იყვნენ über alles [„უპირველეს ყოვლისა“].[60] ამრიგად, რუსი „თეთრი“ მონარქისტებისა და გერმანელი სოციალისტ-ნაციონალისტების პოლიტიკური პროგრამები შეთანხმდნენ „ანტიანტანტის (ბრიტანეთი და საფრანგეთი), ანტი-ვაიმარის რესპუბლიკის, ანტიბოლშევიკურ და ანტისემიტურ ბრძოლაზე“.[61]

„თეთრმა“ რუსებმა და „შავმა“ გერმანელებმა ზავი დადეს „წითელი“ რუსების

ნაციონალ-სოციალიზმს შორის, იყო ვოლტერ ლაკერი: Walter Laqueur, *Russia and Germany: A Century of Conflict* (London: Weidenfeld & Nicolson, 1965). აგრეთვე იხ. მაიკლ კელოგის ფუნდამენტური ნაშრომი - Michael Kellogg, *The Russian Roots of Nazism: White Émigrés and the Making of National Socialism, 1917–1945* (Cambridge: Cambridge University Press, 2008). აგრეთვე რუსი მეცნიერები, რომლებიც ამ თეზისს უჭერენ მხარს, როგორიცაა დევიდ რასკინი და რაფაელ განელინი, იხ. David Raskin and Rafaïl Ganelin (Rafaïl Ganelin, "Ot chernosotenstva k fashizmu" [„შავი ასეულის“ მოძრაობიდან ფაშიზმამდე], in *Pamyati Nikolaya Girenko* [ნიკოლაი გირენკოს ხსოვნისადმი] (St. Peters- burg: МАЭ РАН, 2005), 243–72.

[56] განსაკუთრებით იხ. მისი სტატია "National Socialism: A New Spirit", *Vozrozhdeniye* [აღორძინება], May 17, 1933, სადაც ნაციზმის კრიტიკას განიხილავს, როგორც მიკერძოებულს და ახლომხედველს.

[57] იხ. Ilyin, "National Socialism", 263.

[58] Kellogg, *Russian Roots of Nazism*, 1.

[59] „აუფბაუს“ წევრებმაც გაიღეს ნსდაპ-ისადმი ფულადი შეწირულობა მისი არსებობის ადრეულ ეტაპზე. იხ.Kellogg, *Russian Roots of Nazism*, 1.

[60] იხ. Kellogg, *Russian Roots of Nazism*, 15.

[61] Kellogg, *Russian Roots of Nazism*, 1.

იდეოლოგიური პლატფორმის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკურ და ნაცისტურ მეთოდებში, მათი მიზნების მისაღწევად, რაც არ უნდა განსხვავებული იყოს ისინი, იყო გასაოცარი მსგავსებაც. ორივე იყენებდა საკონცენტრაციო ბანაკებს იმ სოციალური ჯგუფების შესაზღუდად და გასანადგურებლად, რომლებსაც „ხალხის მტრად“ მიიჩნევდნენ: ბურჟუაზია, სასულიერო პირები და სხვა არაპროლეტარული კლასები პირველ შემთხვევაში; მეორე შემთხვევაში კი - ებრაელები, ბოშები და ზოგიერთი სხვა „არაარიული“ ეთნიკურობა. მათ ასევე გამოიყენეს შიმშილი მასობრივი განადგურების მეთოდად. 1930-იანი წლების დასაწყისში სტალინმა გადაწყვიტა ხერხემალში გადაეტეხა გლეხობა, რომელიც, მისი აზრით, ხელს უშლიდა პროლეტარული რევოლუციის წინსვლას. მან შექმნა პირობები ხელოვნური შიმშილისთვის, ჰოლოდომორისთვის, რომელიც ძირითადად უკრაინის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებს შეეხო.[62] უკრაინის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის შეფასებით, უკრაინის შიმშილს დაახლოებით 4,5 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.[63] სტალინის ხელოვნური შიმშილობის მეთოდები მოგვიანებით გაიზიარა ჰიტლერმა, რომელიც ცდილობდა ებრაული და აღმოსავლური „კითხვები“ ამგვარად გადაეჭრა.[64]

მიუხედავად მათი იდეოლოგიური ანტაგონიზმისა, რუსი მონარქისტები, საბჭოთა კომუნისტები, იტალიელი ფაშისტები და გერმანელი ნაცისტები ჩვეულებრივ კოლექტივიზმს ანიჭებდნენ ინდივიდუალიზმზე უპირატესობას. მათ ასევე სჯეროდათ სახელმწიფოს უპირატესობა ინდივიდზე. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მათი ხედვა იყო იმის შესახებ, თუ როგორი სახელმწიფო უნდა შეიცავდეს ინდივიდებს. „თეთრებისთვის“ ეს იყო რუსეთის მონარქია, რომელსაც სათავეში ‘ცარი’ ჰყავდა. „წითლებისთვის“ ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა. ფაშისტებისთვის ეს იყო *lo stato corporativo* [„კორპორატიული სახელმწიფო“] წინასწარ გათვლილი მუსოლინის მიერ.[65] ნაცისტებისთვის ეს იყო მესამე გერმანული რაიხი. სახელმწიფო ყველა მათგანისთვის საბოლოო ავტორიტეტი და ღირებულება იყო, ეს იყო „ზევსი“ მათი პოლიტიკური რელიგიების პანთეონში.

ინდივიდებზე კოლექტივიზმის დაწესება ძლიერ ლიდერობას მოითხოვს. ეს ტოტალიტარული პოლიტიკური რელიგიების ერთ-ერთი პარადოქსია: ისინი, პოპულისტური მოძრაობებივით, იწყებენ „უბრალო ადამიანების“ ფართო დაინტერესებით. თუმცა, ბოლოს თავიანთი პროგრამების განსახორციელებლად, ლიდერს უხმობენ. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ყველა პოლიტიკურ რელიგიას ჰყავდა ლიდერი თავიანთი პოლიტიკური ავტორიტეტისადმი მსგავსი დამოკიდებულებით: „вождь“ სტალინი საბჭოთა კავშირში, il duce მუსოლინი იტალიაში, der Führer ჰიტლერი გერმანიაში, ὁ Ἀρχηγός მეტაქსასი საბერძნეთში, *Conducător* ანტონესკუ რუმინეთში და ა.შ. ამ მიდგომამ, ჰეგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელიც ამას თავის ფილოსოფიაში ამყარებდა, „ბევრი უდანაშაულო ყვავილი“ გათელა და „თავის გზაზე ბევრი საგანი“ გაანადგურა.[66] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ფიგურების ხელმძღვანელობას საფუძვლად ედო იძულება.

4. იძულება

პოლიტიკურ რელიგიას და სამოქალაქო რელიგიას ბევრი საერთო აქვს: ორივე მიჰყვება წმინდა კალენდრებს, ატარებს საჯარო რიტუალებს „მღვდლების“ მეშვეობით, თაყვანს სცემს „წინასწარმეტყველებს“ და „მოწამეებს“, სწამს „გამოსყიდვის“ და აქვს „ესქატოლოგიური“ მოლოდინები. ამის მიუხედავად, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა: მაშინ, როცა სამოქალაქო რელიგია

[62] იხ. Anne Applebaum, *Red Famine: Stalin's War on Ukraine* (New York: Double- day, 2017).

[63] Ukrainian Institute of National Memory, accessed April 22, 2018, https://tinyurl.com/y8qntlnl.

[64] იხ. Timothy Snyder, *Bloodlands: Europe Between Hitler and Stalin* (New York: Basic Books, 2010), 20.

[65] Benito Mussolini, *Lo stato corprativo* [The Corporate State], 2nd ed. (Firenze: Vallecchi, 1938).

[66] G. W. F. Hegel, *The Philosophy of History*, trans. J. Sibree (New York: Colonial, 1900), 32.

შთააგონებს ადამიანებს თავი გაწირონ თავიანთი ესქატოლოგიური მიზნების მისაღწევად, პოლიტიკური რელიგია სხვა ადამიანებს სწირავს მათივე თანხმობის გარეშე. პოლიტიკური რელიგიის ერთ-ერთი დამახასიათებელი მახასიათებელია პროპაგანდისა და იძულების გამოყენება, რათა აიძულონ ადამიანები, რომ მის კრედოს დაეთანხმონ. სამოქალაქო რელიგიამ შეიძლება ასევე მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირება, მაგრამ ეს არ არის იძულებითი. პოლიტიკური რელიგიისგან განსხვავებით, ის არ იყენებს ძალას ხალხის დასარწმუნებლად. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სამოქალაქო რელიგიის თავისუფლად მისაღებად ხდება ხალხის *მოწოდება*, ხოლო პოლიტიკური რელიგიის მისაღებად ისინი *იძულებას* ექვემდებარებიან. იძულება არის მთავარი მუხლი ნებისმიერი პოლიტიკური რელიგიის კრედოში.

იძულება ნებისმიერ სამოქალაქო ან პოლიტიკურ რელიგიაზე უფრო ხანდაზმულია. ის ასევე ერთ-ერთია უძველეს პოლიტიკურ მართლმადიდებლურ იდეოლოგიებს შორის. არიანიზმისა და ხატმებრძოლობისგან განსხვავებით, ის არ დაუგმიათ, როგორც მწვალებლობა. უფრო მეტიც, მას სახელმწიფო ხშირად იყენებდა და ეკლესიამ ის მიიღო ნიკეის, ქალკედონური და სხვა მართლმადიდებლობათა აღსასრულებლად.

იძულება შემოიღეს ქრისტიანულ ეკლესიაში, როდესაც ქრისტიანობა რომის სახელმწიფოს მოკავშირე გახდა. რომის იმპერია არა მხოლოდ წაახალისებდა იძულებას, არამედ იძულებითი იყო თავისი ბუნებით.[67] ეს ბუნება წარმოიშვა რომის პოლიტიკური სისტემის საბრძოლო საფუძვლებიდან. იძულება არეგულირებდა რომაელთა როგორც საჯარო, ისე პირად ცხოვრებას, რელიგიური შეხედულებების ჩათვლით. რომაულ სამყაროში რელიგია არასოდეს ყოფილა პირადი საქმე, მას ყოველთვის ჰქონდა საჯარო ფუნქცია. სახელმწიფო იტოვებდა უფლებას ჩარეულიყო თავისი ქვეშევრდომების რელიგიურ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, ის მათ ცხოვრებას სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებულად მიიჩნევდა ისევე, როგორც, მაგალითად, გადასახადს ან სამხედრო სამსახურს. რელიგიის საშუალებით ადამიანებმა აჩვენეს თავიანთი ერთგულება სახელმწიფოსადმი და საერთო პოლიტიკური მიზნებისადმი. ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანები არაერთგულ სუბიექტებად მოიაზრებოდნენ, რადგან მათ უარი თქვეს საზოგადოებრივ კულტებში მონაწილეობაზე. ასეთი ქცევა ორგულობის ან თუნდაც სახელმწიფო ღალატის ქმედებად განიმარტა.

ქრისტიანებს რომაელებისგან განსხვავებულად ესმოდათ რელიგიის შინაარსი – მათი თვალთახედვით ეს უნდა ყოფილიყო არა საჯარო კულტი, არამედ ინტიმური მოწაფეობა, რომელიც აგებულია პირად ურთიერთობებზე და თავისუფლად მიღებაზე. ქრისტე არავის აიძულებდა, რომ მას გაჰყოლოდა. მან მოუწოდა ცალკეულ პირებს, რომ შემოერთებოდნენ და პასუხს დაელოდა. ეს ეთოსი, რომელიც დაფუძნებულია მოწოდებაზე და იძულების უარყოფაზე, იესოს მიმდევრების 'ეკლესიად' თვითაღქმაში აისახა. ეს სიტყვა მომდინარეობს სიტყვიდან ἐκ-καλέω – „მოხმობა". ქრისტიანული ეკლესიის წევრობა ნიშნავდა ღმერთთან ურთიერთობის განვითარებას, რომელიც დაფუძნებულია ღვთის მოწოდებაზე თავისუფალ მიღებასა და პირად პასუხზე და არა სახელმწიფოს მიერ იძულებაზე.

იმპერიის ქრისტიანობაზე მოქცევამ გააბუნდოვანა ზღვარი იძულების წარმართთა პრაქტიკასა და ქრისტიანულ თავისუფლებაზე დაფუძნებულ რწმენას შორის. ეკლესია დილემის წინაშე აღმოჩნდა მისი წევრების რაოდენობასა და ხარისხს შორის უპირატესობის მინიჭებაში. იძულებაზე

[67] იხ. Martin Edward Foulkes, "Empire of Coercion: Rome, Its Ruler and His Soldiers", PhD thesis, University of Durham, 2005.

აქცენტი აირჩევდა რაოდენობას: მეტი ადამიანი შეუერთდებოდა ეკლესიას და ნაკლები განხეთქილება წარმოიქმნებოდა ქრისტიანულ საზოგადოებაში მათი ასიმილაციის პროცესში. თუმცა, ამ შემთხვევაში, მოქცევის ხარისხი იქნებოდა კომპრომეტირებული. ასეთი ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ „სმენისაგან“ (რომ 10:17), ანუ რწმენის არაიძულებითი მიღებით. ასევე იდგა ორმაგი სტანდარტების დილემა: ეკლესია, იძულების გამოყენებით, მიიღებდა იმავე პრაქტიკას, რომლითაც ის დევნის დროს ეწამა სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის წინ.

ქრისტიანული ეკლესიისა და რომაული სახელმწიფოს სიმბიოზმა შიზოფრენიული მდგომარეობა გამოიწვია. ერთი მხრივ, იძულება გახდა ჩვეულებრივი პრაქტიკა, განსაკუთრებით, პოლიტიკური მნიშვნელობის დიდ ქალაქებში. მეორე მხრივ, ღმერთთან პირადი ურთიერთობები გაგრძელდა შორეულ რაიონებში, სადაც დაარსდა სამონასტრო თემები. ადრეული მონასტრები თავისუფლების საკურთხევლებად იქცა, სადაც ქრისტიანებს ღმერთთან პიროვნული ურთიერთობის სრულყოფა არაიძულებითი გზით შეეძლოთ.

ამბივალენტურობა იძულების პრაქტიკაში გვიან ანტიკურ პერიოდში ყველაზე კარგად ავგუსტინეს (354-430) დამოკიდებულებაში ჩანს. ის „დონატისტთა განხეთქილების“ პირისპირ აღმოჩნდა მშობლიურ ჩრდილოეთ აფრიკაში. დონატისტები წარმოადგენდნენ ქრისტიანთა ჯგუფს, რომლებიც ეკლესიის დანარჩენი ნაწილისაგან არა დოქტრინის, არამედ მორალის საკითხებში განსხვავდებოდნენ. დღეს ჩვენ მათ ალბათ „კონსერვატორებს“ ან თუნდაც „ფუნდამენტალისტებს“ დავარქმევთ, რადგან ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ უფრო მკაცრი მორალური კოდექსისა და სამყაროსთან ნაკლებ კომპრომისზე წასვლას. მათმა სიმკაცრემ აიძულა ისინი დაეტოვებინათ ეკლესიის დანარჩენი ნაწილი და თემებისა და იერარქიის საკუთარი ქსელი შეექმნათ.

როგორც ახლად ხელდასხმული მღვდელი, ავგუსტინე ეწინააღმდეგებოდა დისიდენტების მიმართ იძულების პრაქტიკას. მან მოუწოდა ადგილობრივ პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომ მათ წინააღმდეგ „ყველაზე რბილი მეთოდები“ გამოეყენებინათ.[68] ის ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება „ვინმეს იძულება მისი ნების საწინააღმდეგოდ კათოლიკურ ზიარებაში“.[69] თუმცა რამდენიმე წელიწადში მან შეცვალა თავისი პოზიცია და სრულად დაუჭირა მხარი იმპერატორ თეოდოსიუსს (347–395) ჩრდილოეთ აფრიკაში წარმართობის ჩახშობაში.[70] მან ასევე მოუწოდა ადგილობრივ მაგისტრატებს დონატისტების იძულებისკენ, შეერთებოდნენ კათოლიკურ ეკლესიას.[71] ავგუსტინე აღიარებდა, რომ მისი ადრინდელი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით არასწორი იყო და ცდილობდა აეხსნა, თუ რატომ მივიდა იძულების აუცილებლობამდე: „და მართლაც, ამ დროს, ასეთი იძულება არ მესიამოვნა, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თუ რაოდენ დიდ ბოროტებას მოიტანდა მათი [დონატისტთა] დაუსჯელობა ან თუ როგორ შეძლებდა დისციპლინის გამოყენება მათ გამოსწორებას“.[72]

ავგუსტინეს ეკლესიაში იძულება არ შემოუტანია - ის ცდილობდა მისგან საღვთისმეტყველო აზრი გამოეტანა. როგორც ბრენტ შოუმ აჩვენა, ავგუსტინეს

---

[68] იხ. John R. Bowlin, “Augustine on Justifying Coercion”, *Annual of the Society of Christian Ethics* 17 (1997): 52.

[69] Augustine, *Ep.* 34.1.

[70] Augustine, *Sermo* 62.18.

[71] Augustine, *Second Letter to Petilianus* 2.

[72] *Retractations* 2.31.5, in Mary Inez Bogan, *Augustine: The Retractations* (Washington, DC: Catholic University of America Press, 1968), 129.

დროს იძულება უკვე სტანდარტული იყო საეკლესიო პრაქტიკაში.[73] თუმცა იძულებამ ეკლესიას მალევე უპასუხა: სახელმწიფომ მოძღვრების დაცვის მისიის ინტერპრეტირება მოახდინა, როგორც რწმენის საკითხებში ჩარევის უფლება. VII-IX საუკუნეების საღვთისმეტყველო კრიზისები, მონოთელიზმისა და ხატმებრძოლობის ჩათვლით, სახელმწიფოს მხრიდან იძულებითი ხასიათის ჩარევით იყო გამოწვეული.

რწმენის საკითხებში სახელმწიფოს ამგვარ შეჭრას წინააღმდეგობა მოჰყვა. მაგალითად, მაქსიმე აღმსარებელმა (+662) უარი თქვა სახელმწიფოს ჩარევაზე და ამის საპასუხოდ ის გადაასახლეს.[74] მაქსიმე ასევე ეწინააღმდეგებოდა ძალდატანებითი მოქცევის პრაქტიკას.[75] ამაში ის მიჰყვებოდა ადრეულ ქრისტიანულ ეთოსს სინდისის თავისუფლების შესახებ, რომლის კომპრომეტირება მოახდინა ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიულმა ურთიერთობამ. იძულება კიდევ უფრო რადიკალურად უარყო იოანე ოქროპირმა (+407),[76] რომელიც ამტკიცებდა, რომ „მწვალებლის მოკვდინება მიუტევებელი დანაშაულია“.[77]

მაქსიმეს ან ოქროპირის ხმის ამაღლების მიუხედავად, ეკლესია როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში საბოლოოდ დაემორჩილა იძულების პრაქტიკებსა და თეორიებს, რაც საეკლესიო ეთოსის არსებითი მახასიათებელი გახდა გვიან ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში. მდგომარეობა არც რეფორმაციის დროს შეცვლილა. პროტესტანტული ეკლესიები სახელმწიფოს კვლავაც მათი წევრების ღვთისმოსაობის დამზღვევად მოიაზრებდნენ.[78] იოჰანეს ეიზერმანი (ფერარიუსი, დაახ. 1485–1558), ცნობილი პროტესტანტი იურისტი ფილიპ მელანხტონის წრიდან (1497–1560), რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროტესტანტული ეკლესიების ადგილობრივ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ახალ სამართლებრივ მოდელში,[79] ემხრობოდა იძულების პრაქტიკას. მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მთავრების როლზე ქვეშევრდომების ღვთისმოსაობის უზრუნველყოფაში: ქრისტიანმა თავადმა უნდა „მიმართოს თავისი თანამდებობა და რჩევა-დარიგებები ქვეშევრდომებისა და ნათესავების გაღვთისმოსავებისაკენ“.[80] იძულების მძიმე ფორმები ასევე გამოიყენებოდა ევროპისა და ამერიკის არაკონფორმისტულ თეოკრატიებში.

მხოლოდ სეკულარიზაციის პროცესმა, რომელიც დაიწყო თანამედროვე ეპოქის ადრეულ პერიოდში, საბოლოოდ გაათავისუფლა ეკლესია იძულების თეორიებისა და პრაქტიკისგან. სეკულარიზაციის გზით ეკლესიას ჩამოერთვა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა იძულების განხორციელებაში. მაშინაც კი, როცა ეკლესიას იძულების განხორციელება სურდა, ამის საშუალება არ ჰქონდა. პლურალისტური საზოგადოებების წინსვლამ ასევე აიძულა ეკლესია უარი ეთქვა იძულებაზე; ეკლესიას არ აქვს საშუალება გამოიყენოს იძულება პლურალისტურ გარემოში. დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ადამიანის პიროვნებისა და თავისუფლების გაგების მიღწევებმა და მოქალაქეთა

---

[73] Brent D. Shaw, *Sacred Violence: African Christians and Sectarian Hatred in the Age of Augustine* (Cambridge: Cambridge University Press, 2011), 575.

[74] იხ. Pauline Allen and Neil Bronwen, *Maximus the Confessor and His Companions: Documents From Exile* (Oxford: Oxford University Press, 2002), 57.

[75] იხ. Andrew Louth, *Greek East and Latin West: The Church, AD 681–1071* (Crest- wood, NY: St. Vladimir's Seminary Press, 2007), 138.

In Müller and Schweiger, *Between Creativity and Norm-Making*, 247.

[76]იხ. Georges Florovsky, *The Collected Works*, trans. Catherine Edmunds (Vaduz: Büchervertriebsanstalt, 1987), 7:247.

[77] Chrysostom, *In Matt.* 46.1.

[78] იხ. the study by Thomas Simon in Sigrid Müller and Cornelia Schweiger, eds., *Between Creativity and Norm-Making: Tensions in the Later Middle Ages and the Early Modern Era* (Leiden: Brill, 2013), 241–52.

[79] იხ. John Witte, *Law and Protestantism: The Legal Teachings of the Lutheran Reformation* (Cambridge: Cambridge University Press, 2002), 141–53.

[80] იხ. Müller and Schweiger, *Between Creativity and Norm-Making*, 247.

თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული თანამედროვე პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირებისთვის მათმა ფუნდამენტურმა მნიშვნელობამ, იძულება დარწმუნების მიუღებელი მეთოდის კატეგორიაში მოაქცია.[81] საერო საზოგადოებებში იძულების სტიგმატიზაციამ იძულება მიუღებელი გახადა თეოლოგიური თვალსაზრისით. მიროსლავ ვოლფმა იძულებით რწმენას „სერიოზულად გაუმართავი რწმენა"[82] უწოდა. თანამედროვე საზოგადოებისგან იძულების გამოდევნა ეკლესიას დაეხმარა, რომ ხელახლა აღმოეჩინა რწმენის მართვის საკუთარი განსხვავებული გზა – არა იძულებითი, არამედ დიალოგისა და დარწმუნების გზით. როგორც გვიან ანტიკურ ხანაში რომაული გარემო უბიძგებდა ეკლესიას იძულებითი ინსტრუმენტების მიღებისაკენ, თანამედროვე სოციოპოლიტიკური გარემო ასევე ეხმარება მას, რომ თავი დააღწიოს ამ ინსტრუმენტებს და დააფასოს სახარებით გათვალისწინებული რწმენის საკომუნიკაციო საშუალებები. ამრიგად, თანამედროვეობამ გაანეიტრალა პოლიტიკური მართლმადიდებლობის ზოგიერთი ფორმა, რომელიც გაჩნდა ანტიკურ პერიოდში და აყვავდა შუა საუკუნეებში. რელიგიური თანხმობისთვის ვინმეს იძულების უძველესი პრაქტიკა აღარ არის ნორმალური.

მიუხედავად ამისა, უძველესი, პოლიტიკურ მართლმადიდებლობაში არსებული იძულება, სრულად არ გამქრალა. ის პოლიტიკური მართლმადიდებლობის ახალ ფორმებში – იდეოლოგიასა და პოლიტიკურ რელიგიაში გარდაისახა. როგორც ადრე იყო ნაჩვენები, იდეოლოგია გახდა თანამედროვე სამოქალაქო და პოლიტიკური რელიგიების გეგმა. სამოქალაქო რელიგიების უმეტესობა აყვავდა მეცხრამეტე საუკუნეში და ზოგიერთი მათგანი მეოცე საუკუნეში პოლიტიკურ რელიგიებს მიუბრუნდა. იძულება ამ ორ პოლიტიკურ ფენომენს შორის სადემარკაციო ხაზია, რომელსაც ცალკეული მართლმადიდებლური ეკლესიები ხშირად კვეთდნენ.

---

[81] იხ. Jan-Willem van der Rijt, *The Importance of Assent: A Theory of Coercion and Dignity* (Dordrecht: Springer, 2012), 33–34.

[82] Miroslav Volf, *A Public Faith: How Followers of Christ Should Serve the Common Good* (Grand Rapids: Brazos, 2011), xvi.